კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები ქართულ და ევროკავშირის სამართალში და მათი წარმოშობის მომეტებული საფრთხეები ქართულ ბაზარზე

ქეთევან ჭყონიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამართლის სკოლა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ გველესიანი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქეთევან ჭყონიძე

24.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების არსს და სამართლებრივ ჩარჩოს როგორც ქართულ, ისე ევროკავშირის კანონმდებლობაში, ხოლო ძირითადი აქცენტი გამახვილებულია ქართულ ბაზარზე მსგავსი შეთანხმებების წარმოშობის მომეტებულ რისკებზე. შესაბამისად, ნაშრომის ფარგლებში მოცემული ყველა საკითხის განხილვა ემსახურება ქართულ ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების წარმოშობის მომეტებული საფრთხეების ანალიზს, რომლის მიზანია როგორც ეკონომიკური აგენტებისთვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უფრო ნათელი გახადოს ანტი-კონკურენტული შეთანხმებების წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორები, ისევე როგორც ამგვარ შეთანხმებათა განხორციელების შედეგად გამოწვეული, მეტად უარყოფითი, შედეგები ქართულ ბაზარზე.

ამ ფონზე, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ანალიზი, მათი შინაარსის, მიზნებისა და მოქმედების დადგენა ქართული და ევროკავშირის სამართლის მიხედვით, ისევე როგორც მათი წარმოშობის მომეტებული საფრთხეების განხილვა ქართულ ბაზარზე, ხოლო საკვლევი კითხვებია თუ რას გულისხმობს და ზოგადად, რა არის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების არსი ქართული კონკურენციის სამართლისა და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით, რა კომპონენტებისა და ელემენტებისგან შედგება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება; როგორია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები ბაზრის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ურთიერთობებში და რა ფაქტორები უწყობს ხელს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების დადებას და შენარჩუნებას ქართულ ბაზარზე.

კვლევის შედეგად გაანალიზდა, თუ რას გულისხმობს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება და როგორია მისი არსი როგორც ქართულ, ისე ევროკავშირის სამართალში, გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ ე.წ „კარტელური შეთანხმებები“,

დადებული ბაზრის ჰორიზონტალურ დონეზე მოქმედ სუბიექტებს შორის, წარმოადგენს მეტად დამაზიანებელ ძალას ბაზარზე არსებული თავისუფალი კონკურენციისთვის, თავისი არასახარბიელო შედეგებით. ამასთან, დადგინდა, რომ კარტელის ნეგატიური რისკების ჩამონათვალი ვრცელია და ხშირად არაპირდაპირი შედეგები შეიძლება ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ეხებოდეს. გარდა ამისა, ნაშრომის ფარგლებში გამოვლინდა ის მთავარი ფაქტორები, რომელთა არსებობის გამოც კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებები შეიძლება განსაკუთრებით მომეტებული საფრთხის მატარებელი იყოს ქართულ ბაზარზე. ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ პრაქტიკაში, მნიშვნელოვანია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული ბაზრის თავისებურებებისა და შეთანხმების მონაწილეთა ქმედებების ანალიზის მიხედვით იყოს გამოკვლეული, რათა ყოველგვარი გაუგებრობა და შეთანხმებათა არასწორი კვალიფიკაცია თავიდან იქნას აცილებული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც ქართული, ისე ევროკავშირის სამართალი კრძალავს არა ყველა სახის შეთანხმებას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომლის მიზანიც თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვაა. არც ქართული და არც ევროპული სამართალი არ ერჩის ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც ბაზრისთვის სასიკეთო შედეგებისა და პროგრესის მომტანია. ამასთან, ნაშრომის ფარგლებში განხილული ფაქტორები ამგვარ შეთანხმებებს ქართული კონკურენციის სამართლისთვის მომეტებული საფრთხის წყაროდ აქცევს და მნიშვნელოვანია, სამომავლოდ მათ აღმოსაფხვრელად ინტენსიური მუშაობა განხორციელდეს.

საკვანძო სიტყვები: კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება; კარტელური შეთანხმება; საქართველოს კონკურენციის სააგენტო; კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი; ბაზრის ჰორიზონტალური ურთიერთობები; ბაზრის ვერტიკალური ურთიერთობები.

Abstract

This paper examines the essence and legal framework of agreements restricting competition both in Georgian and European Union law. The main focus is on the increased risks of the emergence of such agreements in the Georgian market. Accordingly, the discussion of all the issues within the scope of the paper serves to analyze the heightened threats posed by agreements that restrict competition in Georgia. The aim is to identify the factors contributing to the emergence of anti-competitive agreements, as well as the highly negative consequences caused by their implementation on the Georgian market.

Against this background, the paper aims to analyze the agreements restricting competition, determine their content, goals and operation according to Georgian and European Union law. It also discusses increased threats of such agreements in the Georgian market. The research questions addressed are: What are the agreements that restrict competition according to Georgian and EU competition laws? What are the components and elements of such agreements? How do the agreements restricting competition manifest in horizontal and vertical market relations? What factors contribute to the formation and endurance of these agreements in the Georgian market?

The research reveals that agreements restricting competition, commonly referred to as "cartel agreements", particularly those concluded horizontally among market players, significantly undermine free market dynamics and have adverse implications for competition. The study identifies a broad range of negative risks associated with cartels, including indirect consequences that can harm people's lives and health. Furthermore, the research identifies key factors that make agreements restricting competition particularly perilous within the Georgian market. As a result of the research conducted within the scope of this work, it has been revealed that it is crucial, in practice, to examine competition-restricting agreements in each specific case. This examination should consider the specific market features and analyze the actions of the agreement participants to avoid misunderstandings and incorrect categorization of such agreements.

In conclusion, it can be said that both Georgian and EU law prohibit not all types of agreements, but only those intended to limit free competition. Neither Georgian nor European law restricts agreements that bring beneficial results and progress to the market. Additionally, the factors discussed in the paper highlight that such agreements pose an increased risk under Georgian competition law, emphasizing the importance of intensive efforts to eliminate them in the future.

Key words: Agreements restricting competition; Cartel agreement; Georgian Competition Agency; Horizontal market relations; Vertical market relations.

მადლობა

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ ზურაბ გველესიანს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. მისი ხელმძღვანელობის ფარგლებში, ვფიქრობ, შევძელი საკუთარი პოტენციალის რეალიზება და აკადემიური უნარების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

განსაკუთრებით მადლიერი ვარ ხელმძღვანელის მიერ გამოჩენილი მოთმინებისა და იმ დროისათვის, რომელსაც ჩემს კითხვებზე პასუხების გაცემასა და ნაშრომის გაუმჯობესებაზე ხარჯავდა. მისი კონსტრუქციული უკუკავშირი ჩემთვის მუდამ იყო მოტივაცია უკეთესობისკენ სწრაფვისათვის, ისევე როგორც მასთან მუშაობა დიდი პატივი და სასიამოვნო გამოცდილება. ყოველივე ეს, არა მხოლოდ წინამდებარე ნაშრომის, არამედ ჩემი პროფესიული განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

ამრიგად, კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ბატონ ზურაბს, გაწეული დახმარებისათვის, რომლის მიერ შეტანილი წვლილი ჩემს აკადემიურ წარმატებაში ფასდაუდებელია.